სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს

მრჩეველთა საბჭოს

გადაწყვეტილება N01-01/04

(ოქმი N3)

ქ. ბათუმი 23 თებერვალი 2016 წ.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოს 2016 წლის 25 იანვარს სააპელაციო საჩივრით მომართა მოქალაქე გოგიტა გოგიტიძემ, რომლითაც საჩივრის ავტორი ითხოვს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში შექმნილ საჩივრების განმხილველი კომისიის 2016 წლის 13 იანვრის N1 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც დადგენილია გოგიტა გოგიტიძის მიერ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დარღვევის ფაქტი. აღნიშნული გადაწყვეტილება კომისიის მიერ მიღებული იქნა სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოს წევრის ბეჟან გობაძის საჩივართან დაკავშირებით.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების მე-9 მუხლის 1-ლი პუნტის შესაბამისად: კომისიის მიერ საჩივრის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 7 სამუშაო დღის ვადაში (გადაწყვეტილების მიღებიდან), სააპელაციო კომისიაში (შემდგომში-სააპელაციო კომისია); ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად: სააპელაციო კომისიას წარმოადგენს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" მრჩეველთა საბჭო.

იმის გათვალისწინებით, რომ დავის ერთ-ერთი მონაწილე (საჩივრის ავტორი, სააპელაციო მოპასუხე) არის მრჩეველთა საბჭოს წევრი, არსებობს თვითაცილების პირდაპირი საფუძველი.

ზემოაღნიშნული დებულების მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად: სააპელაციო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც რაიმე სახით დაკავშირებულია დაინტერესებულ მხარესთან ან არსებობს გარემოებები, რომლებიც გამორიცხავს მის მიერ საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტას;

მიუხედავად იმისა, მრჩეველთა საბჭო, როგორც სააპელაციო კომისია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს, ყოველთვის იქნება აზრთა სხვადასხვაობა მიუკერძოებლობასა და ობიექტურობასთან დაკავშირებით, რადგანაც დავის ერთი მხარე არის მრჩეველთა საბჭოს წევრი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მრჩეველთა საბჭოს მიერ მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:

1. სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში შექმნილ საჩივრების განმხილველი კომისიის 2016 წლის 13 იანვრის N1 გადაწყვეტილებაზე გოგიტა გოგიტიძის სააპელაციო საჩივრის განხილვაზე მრჩეველთა საბჭოს წევრები ვაცხადებთ თვითაცილებას. შესაბამისად საჩივარი მრჩეველთა საბჭოს მიერ ვერ განიხილება.

2. განემარტოს დაინტერესებულ პირებს, რომ მათ უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. განცხადება წერილობითი ფორმით გაეგზავნოს დაინტერესებულ პირებს.

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

ზაზა ხალვაში

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

რუსუდან იმედაიშვილი

მრჩევლები:

გიორგი ირემაძე

ირაკლი დარცმელიძე